აუდიტის დასკვნა

დამკვეთი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ფეი უნიქარდი
ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
აუდიტორი
შპს ფინანსური მართვის ჯგუფი
205279660
ვიქტორ დოლიძის ქ. #2.



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3
მოსაზრება 3
მოსაზრების საფუძველი....3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში 3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 9
ძირითადი საქმიანობა....9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი 9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი 9
ფუნქციონირებადი საწარმო 10
უცხოური ვალუტის ოპერაციები....10
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები....10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10
სასაქონლო-მატერიალური მარაგები....11
მოგების გადასახადი 11
დამატებითი ღირებულების გადასახადი....11
ძირითადი საშუალებები....11
არამატერიალური აქტივები....12
გადახდილი ავანსები 12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....12
საწესდებო კაპიტალი 12
შემოსავლის აღიარება....13
ხარჯები....13
პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები 13
წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები 13
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები 16
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან....17
საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა 18
ბალანსის შემდგომი მოვლენები....18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფეი უნიქარდი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფეი უნიქარდი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას,

ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

6 მაისი, 2026

თბილისი, საქართველო

ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

6 მაისი, 2026

თბილისი, საქართველო

შპს ფეი უნიქარდი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2025	2024 გადაანგარიშებული
შემოსავალი	4	2 020 820	5 148 882
მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	5	(630 749)	(465 713)
მთლიანი მოგება		**1 390 071**	**4 683 169**
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	6	(70 340)	(93 770)
ხელფასის ხარჯი		(1 725 422)	(1 655 136)
იჯარა		(275 436)	(181 319)
კომუნიკაციის ხარჯი		(43 470)	(131 899)
საკომისიო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების ხარჯები		(1 069 030)	(1 071 956)
ცვეთა და ამორტიზაცია		(136 876)	(168 176)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(223 672)	(287 770)
სხვა მოგება, ნეტო		52 478	226 689
საოპერაციო ზარალი		**(2 101 696)**	**1 319 832**
ფინანსური შემოსავალი	8	571 083	1 382
ფინანსური ხარჯი		-	(115 990)
ზარალი დაბეგვრამდე		**(1 530 613)**	**1 205 224**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		**(1 530 613)**	**1 205 224**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი		**(1 530 613)**	**1 205 224**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

_____ _____

დირექტორი - ა.ლორთქიფანიძე ***მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე***

შპს ფეი უნიქარდი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2025	2024 გადაანგარიშებული
შემოსავალი	4	2 020 820	5 148 882
მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	5	(630 749)	(465 713)
მთლიანი მოგება		**1 390 071**	**4 683 169**
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	6	(70 340)	(93 770)
ხელფასის ხარჯი		(1 725 422)	(1 655 136)
იჯარა		(275 436)	(181 319)
კომუნიკაციის ხარჯი		(43 470)	(131 899)
საკომისიო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების ხარჯები		(1 069 030)	(1 071 956)
ცვეთა და ამორტიზაცია		(136 876)	(168 176)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(223 672)	(287 770)
სხვა მოგება, ნეტო		52 478	226 689
საოპერაციო ზარალი		**(2 101 696)**	**1 319 832**
ფინანსური შემოსავალი	8	571 083	1 382
ფინანსური ხარჯი		-	(115 990)
ზარალი დაბერგვრამდე		**(1 530 613)**	**1 205 224**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		**(1 530 613)**	**1 205 224**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი		**(1 530 613)**	**1 205 224**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ა.ლორთქიფანიძე

შპს "ფეი უნიქარდი" ფეიუნიქარდი კანცელარია 404519455

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024 გადაანგარიშებული	01.01.2024 გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	**9**	34 262	43 401	100 426
არამატერიალური აქტივები	**10**	237 398	354 611	471 380
სულ გრძელვადიან აქტივები		**271 660**	**398 012**	**571 806**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**11**	315 359	277 695	361 248
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	**12**	1 329 804	2 340 081	435 925
ნომინალური მფლობელობის ანგარიში	**13**	9 267 165	9 432 443	19 765 898
ფული და ფულის ექვივალენტები	**13**	495 055	383 831	1 716 625
სულ მიმდინარე აქტივები		**11 407 384**	**12 434 051**	**22 279 697**
სულ აქტივები		**11 679 043**	**12 832 063**	**22 851 503**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8 498 694	7 298 694	2 581 919
გაუნაწილებელი მოგება		(6 881 042)	(5 350 428)	(6 555 653)
სულ კაპიტალი		**1 617 653**	**1 948 266**	**(3 973 733)**
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**14**	10 049 350	10 881 201	21 955 728
გადასახდელი გადასახადები		12 040	2 595	4 199
სასესხო ვადლებულებები		-	-	4 865 309
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**10 061 390**	**10 883 796**	**26 825 236**
სულ ვალდებულებები		**10 061 390**	**10 883 796**	**26 825 236**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**11 679 043**	**12 832 063**	**22 851 503**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

_____ _____

დირექტორი - ა. ლორთქიფანიძე ***მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე***

შპს ფეი უნიქარდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024 გადაანგარიშებული	01.01.2024 გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	9	34 262	43 401	100 426
არამატერიალური აქტივები	10	237 398	354 611	471 380
სულ გრძელვადიან აქტივები		**271 660**	**398 012**	**571 806**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	315 359	277 695	361 248
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	12	1 329 804	2 340 081	435 925
ნომინალური მფლობელობის ანგარიში	13	9 267 165	9 432 443	19 765 898
ფული და ფულის ექვივალენტები	13	495 055	383 831	1 716 625
სულ მიმდინარე აქტივები		**11 407 384**	**12 434 051**	**22 279 697**
სულ აქტივები		**11 679 043**	**12 832 063**	**22 851 503**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		8 498 694	7 298 694	2 581 919
გაუნაწილებელი მოგება		(6 881 042)	(5 350 428)	(6 555 653)
სულ კაპიტალი		**1 617 653**	**1 948 266**	**(3 973 733)**
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	10 049 350	10 881 201	21 955 728
გადასახდელი გადასახადები		12 040	2 595	4 199
სასესხო ვალდებულებები		-	-	4 865 309
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**10 061 390**	**10 883 796**	**26 825 236**
სულ ვალდებულებები		**10 061 390**	**10 883 796**	**26 825 236**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**11 679 043**	**12 832 063**	**22 851 503**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ა. ლორთქიფანიძე

შპს "ფეი უნიქარდი" ფეიუნიქარდი კანცელარია 404519455

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**2 581 919**	**(6 555 653)**	**(3 973 733)**
კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი	4 716 775		4 716 775
წმინდა მოგება		1 205 224	1 205 224
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	**7 298 694**	**(5 350 428)**	**1 948 266**
კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი	1 200 000		1 200 000
წმინდა ზარალი		(1 530 613)	(1 530 613)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრისათვის	**8 498 694**	**(6 881 042)**	**1 617 653**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

_____ _____

დირექტორი - ა. ლორთქიფანიძე ***მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე***

შპს ფეი უნიქარდი
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	**2 581 919**	**(6 555 653)**	**(3 973 733)**
კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი	4 716 775		4 716 775
წმინდა მოგება		1 205 224	1 205 224
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	**7 298 694**	**(5 350 428)**	**1 948 266**
კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი	1 200 000		1 200 000
წმინდა ზარალი		(1 530 613)	(1 530 613)
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრისათვის	**8 498 694**	**(6 881 042)**	**1 617 653**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ა. ფორთქიფანიძე

შპს "ფეი უნიქარდი" ფეიუნიქარდი კანცელარია 404519455

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2025	2024 გადაანგარიშებული
მოგება დაბეგვრამდე		(1 530 613)	1 205 224
კორექტირება:			
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	**9**	19 662	51 407
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	**10**	117 214	116 769
საპროცენტო შემოსავალი	**8**	(533 959)	(1 382)
გადასახდელი პრცენტების კორექტირება		-	(158 619)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე		(37 124)	34 141
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**(1 964 820)**	**1 247 541**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		1 048 124	(1 887 126)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა		(37 664)	83 552
გადასახდელი გადასახადების ზრდა		9 445	(1 603)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(810 290)	(11 037 317)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(1 755 206)**	**(11 594 953)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების გასვლა	**9**	-	19 735
ძირითადი საშუალებების მიღება	**9**	(10 524)	(14 117)
საბანკო ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი		533 959	1 382
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**523 435**	**7 000**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი		-	(4 716 775)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		1 200 000	4 716 775
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**1 200 000**	**-**
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		(22 284)	(78 296)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		**(54 054)**	**(11 666 249)**
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		9 816 275	21 482 524
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		**9 762 220**	**9 816 275**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

_____ _____

დირექტორი - ა. ლორთქიფანიძე ***მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე***

შპს ფეი უნიქარდი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2025	2024 გადაანგარიშებული
მოგება დაბეგვრამდე		(1 530 613)	1 205 224
კორექტირება:			
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	9	19 662	51 407
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	117 214	116 769
საპროცენტო შემოსავალი	8	(533 959)	(1 382)
გადასახდელი პრცენტების კორექტირება		-	(158 619)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე		(37 124)	34 141
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**(1 964 820)**	**1 247 541**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		1 048 124	(1 887 126)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ზრდა		(37 664)	83 552
გადასახდელი გადასახადების ზრდა		9 445	(1 603)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(810 290)	(11 037 317)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(1 755 206)**	**(11 594 953)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების გასვლა	9	-	19 735
ძირითადი საშუალებების მიღება	9	(10 524)	(14 117)
საბანკო ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი		533 959	1 382
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**523 435**	**7 000**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალად რეკლასიფიცირებული სესხი		-	(4 716 775)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		1 200 000	4 716 775
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**1 200 000**	**-**
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		(22 284)	(78 296)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		**(54 054)**	**(11 666 249)**
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		9 816 275	21 482 524
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		**9 762 220**	**9 816 275**

* 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 6 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ა. ლორთქიფანიძე

შპს "ფეი უნიქარდი"
ფეიუნიქარდი
ქანცელარია
404519455

მთავარი ბუღალტერი - ნ. აბესაძე

შპს ფეი უნიქარდი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშნები
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ფეი უნიქარდი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., N 71. კომპანიის დირექტორს წარმოადგენს სულხან პატარიძე.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

მესაკუთრე	წილი %
სულხან პაპაშვილი	30%
ვოლოდიმირ ნოსოვი	50%
ლაშა პაპაშვილი	20%

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგადახდო პროვაიდერის მომსახურებით მომხმარებლის უზრუნველყოფა. 2017 წლის 3 თებერვალს ეროვნულმა ბანკმა შპს „ფეი უნიქარდი“ დაარეგისტრირა როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (რეგისტრაციის ნომერი 0052-9004), რაც კომპანიას აძლევს უფლებას გამოუშვას ელექტრონული ფული, განახორციელოს ელექტრონულ ფულთან და ელექტრონულ გადახდებთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ოპერაციები.

2019 წლის თებერვალში შპს „ფეი უნიქარდი“ გახდა Visa International/Mastercard აფილირებული წევრი და როგორც პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, მომხმარებელს სთავაზობს ელექტრონულ საფულეს - უნი საფულეს და არასაბანკო საგადახდო Visa/Mastercard ბარათებს. უნისაფულე მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააერთიანოს საგადახდო და დაგროვების ბარათები ერთ სივრცეში, გადაიხადოს თანხა ნებისმიერ ობიექტში და ვებპლატფორმებზე, გადარიცხოს ან დააკონვერტიროს თანხა ან გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.
შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა ბაზრისა და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.
არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება ამ მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6951	2.8068
ლარი/1 ევრო	2.1737	2.9306

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს, როგორც მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ კომპანიის ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში, ასევე ნომინალური ფლობის ანგარიშებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, რომლებზეც განთავსებულია მომხმარებლებისი ფულადი სახსრები. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადეფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სასაჩუქრე და პლასტიკურ ბარათებს, რომლებიც მომხმარებელს გადაეცემა შესაბამისი პროდუქტის შეძენისას და რომლის საშუალებითაც ხდება შემდგომი განაღდება.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.
წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს ფეი უნიქარდი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშნები
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი 5-7 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

საკუთრებაში არსებული არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას, ვებ-გვერდს და ბილინგის სააღრიცხვო სისტემებს. შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოიცავს პროგრამული პროდუქტის შექმნის/გაუმჯობესების ან მოდიფიცირებაზე გაწეული ხარჯების დაკაპიტალიზირებას.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწარმოს ვალდებულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმაოდგენს ელექტრონულ საფულეზე განთავსებული მომხმარებელთა თანხები, რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ნომინალურ ანგარიშებზე არსებულ თანხებთან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს საგადასახადო პროვაიდერის მომსახურებით მომხმარებლების უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდის შემოსავლები მოიცავს მომსახურების მიწოდებიდან მიღებულ საკომისიო შემოსავლებს.

ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საკომისიო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების ხარჯები.
ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებებს.

3. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

კომპანია წინა პერიოდის მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდის იმ შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდის საწყის ნაშთებს. მიმდინარე პერიოდში კომპანიამ შეცვალა ხარჯების კლასიფიცირების და მისი წარდგენის პრინციპები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შესაბამისად მოახდინა მისი გადაანგარიშება რეტროსპექტიულად გასულ საანგარიშო წელზე.

ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

	თანხა ცვლილებამდე	**კორექტირება**	**თანხა ცვლილების შემდეგ**
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(5 728 704)	378 276	(5 350 428)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	240 467	(240 467)	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11 019 009	(137 808)	10 881 201

ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

შემოსავალი	5 039 885	108 997	5 148 882
სხვა ზარალი, ნეტო	(13 778)	240 467	226 689

ცვლილება 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში

სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(11 593 571)	(1 382)	(11 594 953)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	5 618	1 382	7 000

ცვლილება 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	(6 584 463)	28 811	(6 555 653)
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21 984 539	(28 811)	21 955 728

შენიშვნა 4 -შემოსავალი	**2025**	**2024**
ელექტრონული საფულე	1 856 227	5 016 160
სასაჩუქრე ბარათები	136 715	107 568
კომუნალურების გადახდის ონლაინ პლატფორმა	6 331	8 887
სხვა შემოსავლები	21 548	16 267
სულ შემოსავალი	**2 020 820**	**5 148 882**

შენიშვნა 5 - მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები	**2025**	**2024**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	309 830	279 940
ავტორიზაციის ხარჯები	286 339	151 561
Apple Pay-s პლატფორმის და სერვისებით სარგებლობის საფასური	3 630	6 028
სხვა პირდაპირი ხარჯები	30 951	28 184
სულ მომსახურებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები	**630 749**	**465 713**

შენიშვნა 6 - რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	**2025**	**2024**
სმს რეკლამის ხარჯები	45 944	68 931
მარკეტინგული მომსახურება	24 396	24 839
სულ სარეკლამო ხარჯი	**70 340**	**93 770**

შენიშვნა 7 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2025**	**2024**
მომსახურების ხარჯები	48 220	62 552
საკონსულტაციო ხარჯები	20 714	27 763
კომუნალური ხარჯები	16 735	22 691
საბანკო ხარჯები	8 930	13 822
საოფისე ხარჯები	8 218	11 672
კომპიუტერის ხარჯები	1 423	376
საგადასახადო ხარჯები	388	719
სხვა ხარჯები	119 044	148 175
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**223 672**	**287 770**

შენიშვნა 8 - ფინანსური შემოსავალი	**2025**	**2024**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებიდან	533 959	1 382
წმინდა საკურსო მოგება	37 124	-
სულ ფინანსური შემოსავალი	**571 083**	**1 382**

შენიშვნა 9 - ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	**ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი**	**სულ**
საბალანსო ღირებულება	395 022	23 823	**418 845**
დაგროვილი ცვეთა	(312 433)	(5 986)	**(318 419)**
ბალანსი 31/12/2023	**82 589**	**17 837**	**100 426**
დანამატები	8 027	6 090	**14 117**
აქტივების ჩამოწერა	(31 428)	(16 364)	**(47 792)**
ცვეთა პერიოდისათვის	(47 747)	(3 660)	**(51 407)**
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	22 107	5 951	**28 057**
ბალანსი 31/12/2024	**33 548**	**9 853**	**43 401**
დანამატები	10 174	350	**10 524**
ცვეთა პერიოდისათვის	(16 988)	(2 674)	**(19 662)**
ბალანსი 31/12/2025	**26 733**	**7 529**	**34 262**
ბალანსი 31/12/2024	**33 548**	**9 853**	**43 401**
ბალანსი 31/12/2025	**26 733**	**7 529**	**34 262**

შენიშვნა 10 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
საბალანსო ღირებულება	799 160
დაგროვილი ცვეთა	(327 779)
ბალანსი 31/12/2023	**471 380**
დანამატები	-
ცვეთა პერიოდისათვის	(116 769)
ბალანსი 31/12/2024	**354 611**
დანამატები	-
ცვეთა პერიოდისათვის	(117 214)
ბალანსი 31/12/2025	**237 398**
ბალანსი 31/12/2024	**354 611**
ბალანსი 31/12/2025	**237 398**

შენიშვნა 11 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**31.12.2025**	**31.12.2024**
სასაჩუქრე პლასტიკური ბარათები	42 419	2 209
არასაბანკო პლასტიკური ბარათები	272 702	268 657
სხვა მარაგები	238	6 830
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**315 359**	**277 695**

შენიშვნა 12 - მოთხოვნები და სხვა წინასწარი გადახდები	**31.12.2025**	**31.12.2024**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 132 193	2 134 432
გადახდილი ავანსები	171 742	190 367
წინასწარი გადახდები	25 869	15 282
სულ მოთხოვნები და სხვა წინასწარი გადახდები	**1 329 804**	**2 340 081**

შენიშვნა 13 - ფული და ფულადი ექვივალენტები	**31.12.2025**	**31.12.2024**
ნაღდი ფული სალაროში	51 656	6 723
ლარი საბანკო ანგარიშებზე	318 869	104 070
ნომინალური მფლობელობის ანგარიში ეროვნული ვალუტა	8 687 316	8 228 105
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	124 530	273 037
ნომინალური მფლობელობის ანგარიში უცხოურ ვალუტა	579 849	1 204 338
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**9 762 220**	**9 816 275**

ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის საბანკო ანგარიშებზე იდენტიფიცრებულია ნომინალური ფლობის ანგარიშები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, რომლებზეც განთავსებულია მომხმარებლებისი ფულადი სახსრები.

შენიშვნა 14 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**31.12.2025**	**31.12.2024**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	537 096	784 881
ელექტრონულ საფულეზე მომხმარებლის ანგარიშები	9 366 866	9 972 961
მიღებული ავანსები	126 954	103 918
გადასახდელი ხელფასები	18 434	19 441
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**10 049 350**	**10 881 201**

15. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
(დ)ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	**2025**	**2024**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	154 261	368 860
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	988 626	1 975 743

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	**2025**	**2024**
გაწეული მომსახურებები	1 158 334	3 880 565
უნიქარდის საკომისიო ხარჯი	13 456	34 917
სმს ხარჯი	20 549	68 931
საიჯარო ქირა	237 316	152 757
ოფისის კომუნალური ხარჯი	16 735	22 691
მომსახურების ხარჯი	18 634	18 000

	2025	**2024**
მენეჯმენტის ანაზღაურება:	164 650	62 533

17. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგება აჩვენებს, რომ წინა პერიოდთან შედარებით მიმდინარე პერიოდის ფინანსური შედეგი წარმოადგენს ზარალს. გარდა ამისა, კომპანიის 2025 წლის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები უარყოფითია და შეადგენს 1,755,206 ლარს. აღნიშნული გარემოებები იწვევს ეჭვს კომპანიის უნართან დაკავშირებით, დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები, ვინაიდან მისი ლიკვიდური აქტივები და საოპერაციო ფულადი ნაკადები არ ჩანს საკმარისი ამ ვალდებულებების დასაფარად.

თუმცა, წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2026 წლის აპრილში და ფაქტია, რომ კომპანიას საქმიანობა არ შეუწყვეტია. გარდა ამისა ბალანსის შემდგომ პერიოდში გაზრდილია კომპანიის შემოსავლები და ასევე მისი მოგების მაჩვენებელი, რავ მიუთითებს იმ გარემოებაზე რომ კომპანიას შესწევს უნარი უწყვეტად გააგრძელოს ფუნქციონირება და მენეჯმენტსაც მისი ლიკვიდაცია განზრახული არ აქვს.

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენას წარმაოდგენს დირექტორის ცვლილება, 2026 წლის აპრილიდან აღნიშნულ პოზიციას იკავებს ალექსანდრე ლორთქიფანიძე. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარმოდგენას იდენტიფიცირებული არ არის.